

პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩათვლების სახელმძღვანელო პრინციპები

პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის, სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანების (№12 19.08.2019წ.) შესაბამისად, „სერტიფიცირების კანდიდატთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების (ჩათვლის) განმხილველი კომისიისთვის“ დადგენილია პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელდეს „ჩათვლა“ და/ან „აღიარება“:

1. ზოგადი პრინციპები

1.1. პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელი სასწავლო კურსები სწავლისა და გამოცდების მიზნებისათვის აგრეგირებულია შემდეგ მოდულებად:

- ბუღალტერი ბიზნესში
- მმართველობითი აღრიცხვა
- ფინანსური აღრიცხვა
- ქართული ბიზნესსამართალი
- საქმიანობის შედეგების მართვა
- საგადასახადო დაბეგვრა
- ფინანსური ანგარიშგება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- ფინანსური მართვა
- სტრატეგიული ბიზნესლიდერი
- საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება
- ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)

1.2. სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია კანდიდატის:

- ა) სასერტიფიკაციო პროგრამაში (5 საგამოცდო მოდული) მონაწილეობით; და
- ბ) სრულ სასერტიფიკაციო პროგრამაში (13 საგამოცდო მოდული) მონაწილეობით.

1.3. დასაშვებია კანდიდატის პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელი სასწავლო კურსების ცალკეული გამოცდისგან გათავისუფლება. კანდიდატის გამოცდისგან განთავისუფლების ინსტრუმენტად გამოიყენება ჩათვლა.

1.4. ჩათვლები განიხილება სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილე მხოლოდ იმ კანდიდატებისათვის რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით – ბუღალტრული აღრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები და სოციალური მიმართულებით ეკონომიკის დარგში.

2. ჩათვლის წესები სასერტიფიკაციო პროგრამაში (5 საგამოცდო მოდული) მონაწილე კანდიდატებისათვის

2.1. სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე კანდიდატებისათვის ჩათვლები არ განიხილება და მათ მოეთხოვებათ სრული სასერტიფიკაციო პროგრამის გამოცდების ჩაბარება მინიმუმ შემდეგ სასწავლო კურსებში:

- სტრატეგიული ბიზნესლიდერი (უმაღლესი დონე)
- საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება (უმაღლესი დონე)
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)
- ქართული ბიზნესსამართალი
- საგადასახადო დაბეგვრა

2.2. სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე კანდიდატებისათვის ჩათვლები განიხილება სრული სასერტიფიკაციო პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში (საგამოცდო მოდულებში):

- ბუღალტერი ბიზნესში
- მმართველობითი აღრიცხვა
- ფინანსური აღრიცხვა
- საქმიანობის შედეგების მართვა
- ფინანსური ანგარიშგება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- ფინანსური მართვა
- ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)

2.3. ზემოთ (პუნქტი 2.2) ჩამოთვლილ მოდულებში კანდიდატებისათვის ჩათვლების განხილვა ხდება შემდეგი პრინციპებით:

- სერტიფიცირების კანდიდატებისათვის, რომელთაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ 2005 წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის პირველი იანვრისა, 2.2 პუნქტით გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლები განიხილება დიპლომის დანართში ასახული ჩათვლილი/ჩაბარებული კურსის შესაბამისად, შეუზღუდავი ვადით.

(საფუძველი: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24.2.);

- სერტიფიცირების კანდიდატებისათვის, რომელთაც 2005 წლის შემდგომ ჩათვლილი/ჩაბარებული აქვთ სასწავლო კურსი, მაგრამ არ აქვთ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, 2024 წლის 1 იანვრამდე სასერტიფიკაციო პროგრამაზე ჩათვლები განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

(საფუძველი: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24.2-1.);

- სერტიფიცირების კანდიდატებისათვის რომელთაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ უცხო ქვეყანაში და ცენტრის მიერ აღიარებულია 2024 წლის 1 იანვრამდე 2.2 პუნქტით გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლები განიხილება დიპლომის დანართში ასახული ჩათვლილი/ჩაბარებული კურსის შესაბამისად, შეუზღუდავი ვადით.

(საფუძველი: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24.3.);

3. ჩათვლის წესები სრულ სასერტიფიკაციო პროგრამაში (13 საგამოცდო მოდული) მონაწილე კანდიდატებისათვის

3.1. სრულ სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე კანდიდატებისათვის ჩათვლები არ განიხილება და მათ სავალდებულოდ მოეთხოვებათ გამოცდების ჩაბარება მინიმუმ შემდეგ სასწავლო მოდულში:

- ქართული ბიზნესსამართალი
- საქმიანობის შედეგების მართვა
- საგადასახადო დაბეგვრა
- ფინანსური ანგარიშგება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- ფინანსური მართვა
- სტრატეგიული ბიზნესლიდერი
- საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება
- ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)

3.2. სრულ სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილე კანდიდატებისათვის ჩათვლები განიხილება შემდეგ სასწავლო კურსებში (საბაზისო საგამოცდო მოდულებში):

- ბუღალტერი ბიზნესში
- მმართველობითი აღრიცხვა
- ფინანსური აღრიცხვა

3.3. ზემოთ (პუნქტი: 3.2) ჩამოთვლილ მოდულებში კანდიდატებისათვის ჩათვლების განხილვა ხდება შემდეგი პრინციპებით:

- სერტიფიცირების კანდიდატებისათვის, რომელთაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ არაუგვიანეს 2024 წლის პირველი იანვრისა, **3.2 პუნქტით** გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლები განიხილება დიპლომის დანართში ასახული ჩათვლილი/ჩაბარებული კურსის შესაბამისად, **შეუზღუდავი ვადით**.

(საფუძველი: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24.2.);

- სერტიფიცირების კანდიდატებისათვის, რომელთაც 2005 წლის შემდგომ ჩათვლილი/ჩაბარებული აქვთ სასწავლო კურსი, მაგრამ არ აქვთ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, **3.2 პუნქტით** გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლები განიხილება მხოლოდ **2024 წლის 1 იანვრამდე**, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

(საფუძველი: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24.2-1.);

- სერტიფიცირების კანდიდატები, რომელთაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ უცხო ქვეყანაში და ცენტრის მიერ აღიარებულია 2024 წლის 1 იანვრამდე **3.2 პუნქტით** გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლები განიხილება დიპლომის დანართში ასახული ჩათვლილი/ჩაბარებული კურსის შესაბამისად, **შეუზღუდავი ვადით**.

(საფუძველი: პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24.3.);

- 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ კურსდამთავრებული სერტიფიცირების კანდიდატებისათვის **3.2 პუნქტით** გათვალისწინებულ მოდულებში ჩათვლები განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ პირს აქვს შესაბამისი დისციპლინების (საგნების) აღიარება ბაფის მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის აღიარების კრიტერიუმად განსაზღვრულია სასწავლო კურსის/საგამოცდო მოდულის სილაბუსების შესაბამისობის 70% და მეტის დადასტურება (**პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, მუხლი 24-3.1.**).

განმარტება: 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საბაზისო სასწავლო კურსის/საგამოცდო მოდულების სილაბუსების შესაბამისობა (ჩათვლის უფლება) დადასტურებული აქვთ და შესაბამისი მემორანდუმი გაფორმებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; აგრარულ უნივერსიტეტთან; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; გ. თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს უნივერსიტეტთან; საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

ბაფის განათლების კომიტეტის

კ. დათიაშვილი

თავმჯდომარე